

1914 5.

# მინაშერი საქოვები.

არველ-კვირაული გაზეთი

№ 1.

უასი ერთი პაური

დროული უასი 3<sup>1</sup> ვან.

წელიწადი მე შედეგე.

330 გ. 1 იანტი 1914 წელი

## რედაქციული სამუშაო.

„შონ. საქმეების“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს  
ხელის მიმწერით დაუქანებლივ მოგვაწყდოს ამ წლის  
გამოცის ფასი სამ მანეთ ნახევარი. განვითი წელი  
თვეში თრი ნომრის შეტი არ გამოვა.  
გამოვა მხოლოდ მათ გაგებულება, ვინც წლის გთხოვა ან ნახევარ ფას წინ დაწინ  
გთხოვა.

F 11/86 4

დაწესებული კირიულები მასწავლებელი ილარიონ ზაქარიას ქ ხარ-  
შილაძე და შეუძლებ გასი აგარავნა დავითის ასული ულრიქს მადლობას უხა-  
ლებენ კვლა შოთ, ვინც თავისი პატარანებით ან დევშით, ან სხვა რამე სახ-  
სახერით პატივი სცს ულრიკო და ულრიკ ერთად ერთი ვაუის

ემილიანე (კოშკო) ილა-  
რიშვილის ძის ხარშილაძის

სალუნის და ამით ანუგეშეს უიშვილი და სახნილი კირასულებული. რომელის  
გამოსხიულის და დაკრძალვის დღე დანიშნული იყო თობშემათს 12 თებერვალს.



კუთაისი, 2 გარები.

Ճ յլ սասումոցնոր շնչա հաստա-  
լուս և ցարցմոցի, հոմ ամ ծռլո-  
ւըր և այս ձեռքեամ ճա, մաթասագամ, սա-  
յրո բնուցեամապ եթա ամուլո և այցլո-  
ւուս սայմղցիս նշեսաեց. այնամքուս յանդո  
կշնդուած ու նշեցվցեցնուուտ այս-իշ ցանց-  
ուցի և այցլուսուու լինուցի ճա և ուսուց  
շցուլուտ, և պանզուս յուլուու, հոմ առո-  
ւան յուլց անոնի, հոմլոցի պ պարագուց-  
նաս այցըցեն ամ քրոմովմուլ լանցեցնու-  
ցնցիս. յելու ամ մեարցի, հոցուր նշացն  
յամոցենունցնցիս եան ճա լուցա, հոցուր պ  
նշացն ոնցըլուցնուամ կալազ նշեցնու  
լուարո մենացնելունա յցլուսուս ճա և սա-  
նցագուուտ սարիմունուցնցիս եալուս լինու-  
րցնցի. զցոնցնցու յե շնչա ույուս մոնցի,  
հոմ քուց հայնո ցանցեցնու սերունեցն  
պարագուցնցիս այցըցեն սայցլուսուու սայու-  
տեցիս, յորուուցնուու ուզալուուտ պայցըրուան  
սամոցցելունցնցիս ճա մուտեռցնու մուսցան  
քրուուս նշեսայցը մոյմցցեցնցիս սամունալու  
յցլուսուս սայմցնցի. զոմեռուցնու, առ նշ-  
ցուունու և ուսարցնուուտ առ նշցցեցնուուտ ամ  
ուրուար մենացնելուցն մովլունաս մացրամ  
ամստան շնչա նշեցնունուտ հայնո ոնցըլուցնուամ  
սամոցցելունցնցիս անցըցեն ուզնց. զցուլու-  
նմունտ սայարուցնուու յցլուսուս ազթուց-  
ուալունցիս. սամոցցելունցնցի զալուցնու-  
նու, հա ույմա շնչա, մուտեցիս, մացրամ յց-  
լուսուս եռմարուու սամոցցելունցնցի առ նշ-  
ուցնցին, մու յցուունուս նայրո բնուցեապ,  
հոմյունմապ առա եա յալուցնու շնչա սամունու-  
նեթա ամ սայմցի. նշեցնուցնուու սամոցցելունցնցի  
առցցիս, լաձյարցուու ուզուս մոյալունցնցի  
նշցնցնցիս շնճարո, յաննամուրոցի, մուս մա-  
ցալուուցնու նշցրո յուղուու սայցլուսուու  
և սրուրուու, մացրամ եալուս և նեցունից  
սամունուու մունցըյու ուզուտ եալունի, մուսմա  
մոնցինացնու ուզուուտ շնչա նյուննուս, թա

უნდა შთაბეროს სამღვდელოების სული  
უკვდავებისა, მოქმედებისა, მან უნდა გა-  
მოიყვანოს ამ წოდებაში სამოქმედო  
საუკეთესო ძალები, გაამხნეოს, გააჯა-  
მარდოს თავის თანაგრძნობით და საქმია-  
ნი დახმარებით. სამღვდელოების არ უნ-  
და სჭირდებოდეს თავის პოზიციის გამა-  
გრება და შინაურ მტრებთან ბრძოლა,  
როგორც აქნამდის იყო და სწორეთ ამ  
სანუგეშო მოვლენის წინამორბედ ამბებს  
ვხვდებით ჩვენ ერთვნულ პრესაში, რაც  
ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, ძრიელ სა-  
ნუგეშო მალამოთ ეცება ჩვენ, სამღვ-  
დელოების, დაწყლოლებულ გულს.

ამისთანა გამოფხიზლების დროს, ჩვენ, სამღვდელოებას, სიფრინილ გვმართებს, რომ ყალბი ცნობები არ მივაწოდოთ საერთ გაზეთებს და თუ ვინმე მიაწვდის ვეცადოთ სიცრუვეში ვამხილოთ და თავი ვიძაროთლოთ. ასეთ სიცრუვეთ მიგვაჩნია, სხვათა შორის, ბ. დე-ზის მიწოდებული ცნობები გაზეთ „ერი“ საღმი. ბ. დე-ზის საქმე ისე უჩვენებია, თითქოს სამღვდელოების უკანასკნელ კრებას გელათის დაქცევა მოენდომების, განსაკუთრებით კი მყვირალა დეპუტატს რომელსაც თავი დიდ პატრიოტად მიაჩნია თურმე. ასეთი ყალბი ცნობების მიწოდებით, გასაკვირვებლი არ არის, კაცს გული გაუგრილდეს მხელწოდებაზე. ამიტომ არ შეგვიძლია არ დავგმოთ ბ. დე-ზის უმართობულო საქციელი და სიმართლე არ ვაუწყოთ პატივცემულ „ერის“ ოდისეულის, რომელიც ბ. დე-ზის შეცდომაში შეუყვანია. ასქმე აი რაში იყო. იმერეთის სამღვდელოებამ, სწორეთ იმ მყვირალა დეპუტატის რჩევით, რომელსაც ბ. დე-ზის უკიფინებს და ყოვლადსამღვდელო ლეონიდის ზეგავლენით თავის სანთლის ქარხანა გელათში გადაიტანა. მიხანი გადატანისა ის იყო. რომ უსაქმო ბერებს მესაფერი საქმე გასჩენოდათ და უსახსრო

მონასტერს სახსარი. ამავე მიზნით სამ-  
ღვდელოების ერთმა შემდეგმა კრებამ  
მთელი სანთლის წარმოება მონასტერს  
გადასცა, ე. ი. თავის მონოპოლია გე-  
ლათს დაუთმო და თვითონ სამღვდელო-  
ება და ეკლესიები გადაიქცა მარტო  
ოდენ მომხმარებელ საზოგადოებათ. არა-  
ვინ იფიქროს, რომ ამით ცოტა რამ და-  
უთმო სამღვდელოებამ მონასტერს, წე-  
ლიწადში უკანასკნელი ორი ათასი მანე-  
თის მოგება გადასცა მას, კიდევ ვიმეო-  
რებთ, იმ მიზნით, რომ ჩვენი დიდებული  
განძი გელათის მონასტერი დაცულიყო.  
დღემდის სამღვდელოების არც ერთ კრე-  
ბას არ მოუთხოვია ანგარიში, თუ რა  
გააკეთა, რა შეიძინა მონასტერმა სანთ-  
ლის ქარხნის მეოხებით, სად მიღის შე-  
მოსავალი, რა კეთდება ან სად ინახება  
შემოსული ფული? აი სწორეთ ეს საკით-  
ხი ალირია ამ კრებაზე და გამოითქვა ის  
აზრი, რომ თუ ჩვენ დათმობილ ხარხა-  
ნას გელათისთვის არაფერი გაუკეთებია,  
ან არაფერს უკეთებს, იმ შემთხვევაში  
მოგებას რათ ვკარგავთ, ქარხანა ისევ  
ჩვენ ვაწარმოვოთ და გელათს ფულით  
დახმარება აღმოუჩინოთ ყოველწლივ  
სანთლის მოგებიდგანო. ე. ი. მოითხო-  
ვა ჯერჯერობით მხოლოდ ანგარიში,  
თუ რა გაკეთდა. აი ამას ეძახის ბ. დე-  
ზი გელათის დაქცევას. ეხლა გაზეთ  
უერისა სამართლიანობას მივმართავთ  
და ვსთხოვთ განვეგმარტოს, განა უფლე-  
ბა არ ჰქონდა სამღვდელოებას ანგარი-  
ში მოეთხოვა, თუ რა შეიძინა ქარხანამ  
მონასტერს? და თუ ანგარიშის ღირსიც  
არა ვართ, განა სამართლიანი არ იქნე-  
ბა ჩვენი საქმე ჩვენვე ვაწარმოვოთ?  
ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სანთლის ხარ-  
ხანამ დიდი შიხაური არეულობა გამოი-  
წეოდ ერთხელ თვით მონასტრის ძმათა  
შორის, რომლის სხვერპლი შეიქნა ორი  
საუკეთესო ბერი, რომლებსაც სანთლის  
წარმოების ნიადაგზე აშენებულმა აურ.

ზაურმა სატუსალოში ამოაყოფინა თავი,  
ვითომდა დიდ პოლიტიკურ დამნაშა-  
ვეთ...

ხელი.

გაცემ „შინაური საქმეების“ ბერი იმუ-  
რეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმო-  
მადგენელთა უკანასკნელ კრებაზე.

1913 წლის 13 ოქტომბრიდან შესწყვი-  
ტა არსებობა გაზ. „შინაურმა საქმეებმა“ და  
ელოდა სამუდამოთ განახლებას, ან სამუდამოთ  
განსვენებას სამღვდელოების წარმომადგენელ-  
თა ზემოთ მოხსენებულ კრებისაგან. გაზეთის  
შეჩერებას საბაბათ გაუხდა ჩვენი რედაქციების  
საზოგადო მოუნელებელი სენი — უსახსრობა,  
რაშიაც ერთი მხრით ბრალი ედება გურია-სა-  
მეგრელოს სამღვდელოებას, მცირე ნაწილის  
გამორიცხვით, რომელმაც გაზეთი გაიწერა და  
ფული კი არ გამოვიგზავნა.

რა ბედი ეწია „შინაურ საქმეებს“ ამ კ ე-  
ბაზე? რედაქტორმა წარუდგინა კრებას ერტ-  
ლი მოხსენება, სადაც იმნიშნა, რომ გაზეთის  
გმოცემა სავსებით იმერეთის სამღვდელოებამ  
უნდა იტვირთოს, რადგან არც ქართლ-კახე-  
თის და არც გურია-სამეგრელოს ეპარქიის  
სამღვდელოებისაგან არაფერ დახმარებას არ  
უნდა მოველოდეთ, რაც 4—5 წლის გამოუ-  
დილებამ აშერად დაგდანახეთ. კრებამ სახეში  
მიიღო რედაქტორის მიერ წარმოდგენილი ვა-  
რიული, რომ გაზეთს თვიურათ 211 მანეთი  
და 86 კაპ. ხარჯი უნდა, გარდა რედაქტორის  
საშრომელისა და, რომ ეს ნავარაუდევე თვი-  
ური ხარჯი ყოველ თვის დამლევს მაინც უნ-  
და ეძლეოდეს რედაქტორს რომელიმე უტუშარ  
წყაროიდან, რადგან უამისოთ რედაქტორს სა-  
შვალება არ ექნება გაზეთი წესიერიდ გამოს-  
უს.

კრებამ ერთხმათ აღიარა გაზეთის აუკი-  
ლებელი საჭიროება და დაადგინა იმისე მსჯე-  
ლობა არ იქნიონ. მხოლოდ კამთო გამო-  
წევი იმ გარემოებამ, თუ რამდენი მომატებო-

და გაზეთის ფასს, ან როგორ მოქმედებიათ.  
რომ თვიურათ ფული გაეღო, გამოითქვა აზრი  
გაზეთის ახალი რედაქტორით გამოცემისა, და-  
სახელის სარედაქტორო და სარედაქტო კომი-  
სის საწევრო პირები ქალაქის სამღვდელო-  
ბისაგან, მაგრამ არც ერთმა კრებაზე დამსწრე  
ქალაქის სამღვდელოებამ არ ისურეა არც ერ-  
თისა და არც მეორე თანამდებობის მიღება,  
გარდა დეკ. თ. აბესაძისა, რომელიც თანა  
ხმა იყ სარედაქტო კომისიაში მუშაობაზე.  
შეეგინ ენ ყოფილ რედაქტორს, რომელმაც  
რედაქტორობაზე თანხმობა განაცხადდა, თუ სამ-  
ღვდელოება ნავარაუდევ ხარჯს თვიურათ გაი-  
ღებს და საშრომელით 40 მანეთს დაუნიშნავს  
ოვეში; ფული სარედაქტო კომისიის უნდა  
ეძლია და გარეშე ხელმომწერლების ანგარი-  
შიც მის ხელში (კომისიის) უნდა ყოფილიყო.  
სამღვდელოება არ დათანხმდა რედაქტორის  
გონირიარზე და წინადაღება მისცა იმავე პირო-  
ბეში გამოეცა გაზეთი. როცა უკანასკნელმა  
გადაჭრილი უარი სოჭვა, მ. თავმჯდომარევ  
კრების განუცხადა თავისი და მ. დეკ. კ. ანთა-  
ძის სურვილი: დ. წესტაფეუნში გადავიტანთ  
რედაქტოს და ჩვენ ვწარმოებთ გაზეთს იმავე  
პირობებში, ორთვე მხალა მოგვაწოდეთ და  
ფულიც რომელიმე დაწესებულებიდან თვიუ-  
რათ მოგვეყიოთ. სამღვდელოება ყოყმანობდა  
და ვერაფერ გადაწყვეტილებას დაადგა, გაზე-  
თის გამოცემა კი იუცილებელ სკიროებად მი-  
აჩნდა. 31 იანვრიდან დაწყო თუ არ ეს ცდე-  
ბი გაზეთის გამოცემის შესახებ კამათი და სამ  
თებერვლამდი გასტანა დროგამოშვებ. სამღვდე-  
ლოება მაინც ვერაფერ გარკვეულ გზას ვერ  
დაადგა.

ଦେଉଥା ହେଲାକ୍ଷତ୍ରିନୀମା. ଏହାରମ୍ଭାବୁ. ଉଚ୍ଚର୍ଦ୍ଧ ଶ୍ଵର-  
ନିଶ୍ଚିନ୍ମ, କଥା ଏହି କ୍ଷେତ୍ରରେ କୁରିଦାର ତତ୍ତ୍ଵମାଳା ପ୍ରେସ୍-  
ରେଙ୍ଗୁରୁତ୍ବରେ ଦେଖିବାରେ ଆପଣଙ୍କ ପରିପାତା ଅନୁଭବ ହେଲା.

მოგრძნელა თავმჯდომარე და სამღვდელო-  
ები შეიკრიბა საკურებულო დაბაზში. ხინდ  
ურნალზე ხელის მოწერა გაიმართობოდა, რე-  
დაქტორმა ერთხელ კიდევ სოხოვა კრებას არ  
დაეტოვა უყურადღებოთ გაზეთის საქმე, და-  
თხნმდე კერძო კრების უკანასკნელ გადაწყვე-  
ტილებაზე და სოხოვა მიეღოთ სათანადო დად-  
გენილ, ბა. თავმჯდომარემ გაუმეორო კრების  
რედაქტორის წინადაღება და შეეკითხა, თანახმა  
ხარი, თუ არაო კრებამ ერთხმით განაცხადა  
თანხმობა, მხოლოდ ორი სამი დეპუტატი წი-  
ნააღმდეგი გაუხდა გაზეთის ფულის სახაზინო  
ჯმაგირებილან გამორიცხვის, მაგრამ ცოტა  
ხნის შემდეგ ამითი ხმაც სახოვადო ხმას შეუ-  
ერთდა და თავმჯდომარეს სოხოვეს ურნალის  
დადგენა. რადგან თვით თავმჯდომარე საქმეში  
იყო გართული, უურნალის შედგენა, ე. ი.,  
მხოლოდ განაჩენის დაწერა, მიანდეს თვით  
რედაქტორს, რომელმაც დასწერა შემდეგი გა-  
ნაჩენი: Изданіе газеты „Шинаури Сак-  
мeebi продолжить, установивъ подпи-  
сную цѣну съ церквей епархіи по 5 р.  
въ годъ; деньги слѣдуемыя за  
веевъ годъ удержать въ началѣ же го-  
да изъ казеннаго жалованія причтовъ  
въ депозитъ имеретинскаго епископа на  
предметъ выдачи редактору свящ. С.  
Мchedlidze ежемѣсячно за вышедшіе но-  
мера. ეს დადგენილება თავმჯდომარემ ერთხელ  
კიდევ წიუკითხა კრების და, როცა არის ი  
წინააღმდეგი არ აღმოჩნდა, შეკრის სხვა უურ-  
ნალებს ხელმისაწერათ. ამ დროს თავმჯდო-  
მარეს მარცხნივ (გასავითივალია, ყოველთვის რომ  
მარცხნივ მჯდომარე გძმოდის მუხანათი — იუდი-  
მარცხნივ უჯდა იქნა ქრისტეს, როცა გასაცუ-  
მად გაემგზავრა, ივაზევი, რომელიც მწარეთ  
დასკინთდა ჯვარუმელს, მარცხნით კუდი,  
მაცხოვერის სიცუკით, საშინელო განხილის დრო-  
საც ცოდვილები მარცხნივ (წირმოსდებიან)  
იჯდა მათი ისტორია გვესაძე, როგორც მასი კან-

დიდატი, მარჯვნივ საქმის მწარმოებელი, მამა ილია კაციტაძე. მკონი მ. მ. დეპუტატები და-მიმოწმებენ თავმჯდომარესა და საქმის მწარმო-ებელთან ერთად, რომ მ. იასონ აბესაძეს არა-ფერი საწინააღმდეგო არა უთქვაშს რა კრების იმ უკანასკნელ დადგენილების შესახებ და არც მეორე დადგენილების შესახებ, რომელიც მა-ზინვე იქმნა რედაქტორის მიერ დაწერილი კრების თხოვნით და რომელიც შეეხება დეპუ-ტატების საშრომელს. მერე რა მოხდა?

გამოცემის უურნალის იმ აღვილის, სადაც კრების მოსახრება უნდა დაწერილიყო, მ. ი. აბესაძეს, როცა უთუოდ ხელის მოწერის ჯე-რი ხვდა, დაუწერია შემდეგი შენიშვნა: (მომ ყავს ეს ყოველი მხრივ ხელიხელ საგოგანები მარგალიტი შენიშვნა ისე, როგორც დედა-ში სწერი): „Если-бы депутаты духовенства 55 съезда сдѣлали бы изложенное здѣсь постановление, я не согласившись съ постановлениемъ, пріобщилъ бы къ журналу особое мнѣніе. Но подобного постановленія не было; журналъ этотъ ошибочно или **намѣренно** отцомъ Мчед-лидзе **подложенъ** подъ другіе журналы и депутаты **нахально подведенены** (კურ-სივი უკეთებ ჩვენი). Симпатичное и про-свѣтительное дѣло нужно сосоздать сим-патичными, свѣтлыми путями. О. Мчед-лидзе не слѣдовало бы **подвести** духо-венство, которому онъ многимъ обя-занъ. Свящ. Абесадзе.“ და შემდეგ კიდევ: „Интересно знать, когда постановленъ этотъ журналъ? Кто былъ предсѣдателемъ, ибо изъ журнала не видно это.“ Свящ. Я. Абесадзе. ამ ხახით წარედგინა ეს უურნალი მის მეუფებას ეპისკოპოსს გორგ-გის კეთილგასიხილველიდ თავმჯდომარის კერ-ძო რაბორტით 4 ოქტომბერს. მეორე დღესვე. როგორც გვიგვი, მღ. სიმონ მჭედლიძეს, რო-გორც ბრალდებულ რედაქტორს, თხოვნა მიართმევია მისი მეუფებისთვის, რომელშიცა უთხოვა დაინიშნოს ამ საქმის შესახებ სახტა-კო გამოძიება.

ამნაირათ გაზეთის საქმე დაიმარხა ვ. ია-სონ აბესაძის წყალობით, რომელმაც ამისთან-ვე ეკლის გვირგვინით შეამყრო იმ კაცის თავი, რომელიც ეს თხი ხუთი წელიწადია სათვე-ში უდგია სასულიერო გამოცემების საქმეს. ამ გვაკვირს ეს ამბავი, რადგან არ გვინახავს მო-ლვაწე, რომლის ცხოვრება ასე სამწუხაროთ არ დაბოლოვებულიყოს.

დამსწრე დეპუტატი.

## საიმედო

### ნიშნები.

ბევრჯერ გამოგვითქვამს აზრი, რომ ჩვენი ბლალობინები ვერ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე, რომ იგინი მარტოდენ მართ-ბლობის ბრძანების აღმასრულებელი ჩინოვ-ნიებია, უკეთ რომ ესთქვათ ამ ბრძანების გადამ-ცემი ორგანო. დღემდე ჩვენ ბლალობინებს არა ვითარი საზოგადო საეკითხები არ აღუძრავთ და არ განუმარტავთ საოლქო კრებებზე. ცირკუ-ლიარებზე ხელის მოწერით თავდებოდა ასეთი კრებები და სამღვდელოებაც მოსვენებული იყო, რაცგან დარწმუნებული იყო, რომ თვის საქ-მეს პირნაოლით ასრულებდა. ბევრი ბლალობინი გავცემულია ასეთი მხილებისათვის, ბევრი დღე-საც გვებულება, მაგრამ უამისოთაც არაფერი გაკეთდა. სჯობს გვეძლეუროდენ და რამეს აკე-თებდენ, ვიდრე მაღლიერი გვივანდენ და ცუ-დად ისხლნენ. ჩვენ არ დავსცრებით რელე-ბად, მაშინაც კი, რომ ჩვენმა მხილები ერთი იოტის ოდენაც არაფერი გაგვიკეთოს ვიზვი-რებით და ვიძახებთ, რომ ბლალობი პი, ეს ნათობი და მარილნი სამღვდელოებისანი არა-ფერის აკეთებენ, თუმცა ბევრი შეუძლიათ ვა-კეთონ და გაარიგონ. ერთი და მღვდელთა სა-სარგებლოთ და სასიკეთოდ. სასოწარკეთილე-ბის, რა თქმა უნდა, არ ვეძლევით და დარწ-მუნებული ვართ. დღეს თუ არა ხვალ მაინც, გამოჩნდებიან მოსაქმე ბლალობინები, რომლე-

ბიუ' გააღვიძებენ სამლელოებაში მიძინებულ  
ძალებს და ოძრავენ სარწმუნოებისა და მამუ-  
ლის საკეთოლდევოდ. დარწმუნებული. ვართ  
ასეთ ბლანოჩინებს წარმოშობს ღლევანდელი  
მდგრამარტობა და ერთ მაგალითს კიდევ ვხე-  
დავთ ამ მხრით.

ქვემოთ მცითხელი თვალს გადავლებს  
მამა ნ. ხ- ნის წერილს შესახებ აღავერტის  
საბლალობინო სამღვდელოების კრებისა სა-  
თაურით: „ ერთ ფრიად საგულისხმო  
სამღვდელოების კრების შესახებ.“ ამ წე-  
რილში, კორექსპონდენტი თვალწინ გვიყუ-  
ნებს ახალგაზღა ბლალობინის მამა ბიქტორ  
ბერიძის მოღვაწეობას შესახებ სამღვდელოების  
ავტორიტეტის აღდგენისა ხალხში და მავნე  
ჩვეულებათა და ცრუმორწმუნეობათა მოსპო-  
ბისა სამრევლოებში, როგორიც არის საჯარო  
ტირილი, ქორწილი და სხვა ასეთი მატერია-  
ლურად გამანადგურებელი ჩვეულებები. სიხა-  
რულით ვეგებებით ახალგაზღა ბლალობინის  
ასეთ საზოგადო მოღვაწეობას და უსურვებთ  
სრულ გამარჯვებას. რა კარგი იქნებოდა, რომ  
ყილა ბლალობინები ასე დატრიალდებოდენ  
ავის საბლალობინო ოლქებში, რადგან მავნე  
ჩვეულებები ყველგან ბევრია, და თუ არაა,  
სხვა საქმეც ბევრია საკოებელი: მაგ. სასული-  
ერო ლიტერატურის გავრცელება, საჯარო  
კითხები და საუბრები, საეკლესიო წიგნთა-  
ცავები, სამრევლო სამზრუნველოები აღვილო-  
ბრივ ქვეითობოლთაფის, საკუთარი განვითა-  
რება და გათვითუნობიერება საღვთისმეტყვე-  
ლო და სამეცნიერო საკითხებში და სხვა ასეთი,  
რასაც თვით თავის კეთილგონიერება უკარნა-  
ხებს გულმოდგინ კათილ მოწესეს.

690

გამ. „შინ. საქმეების“  
შეჩერების შესახებ.\*)

69-389

მოდენიშვ თანშობილი ნიჭი (ალლ), რომელ  
თაგან უფრო თვალსაჩინოა ნიჭი საზრდოს მო-  
პოებისა, სიცოცხლის დაცვისა და შოთამბეჭ-  
ლობის გაგრძელებისა. ასეთი ნიჭები, რამა-  
კვირველია, უფრო განვითარებულია იმ ასე-  
ბაშიაც, რომელსაც ბუნების მეფეს, ადამიანის  
ეძახიან. მაგრამ ბუნების მეფე რის მეფე იქნე-  
ბა, რომ მასში მარტო თანშობილ პირუტყულ  
ნიჭებს ქანდეს აღილი. არა. ადამიანს, რო-  
გორც ხატად ღვთისა შექმნილს და ჭურჭელს  
უკვდავი სულისას, პირუტყვულ ნიჭებს გარდა,  
აქვს ნიჭი ნამდევილ ადამიანურნი, რომელნიც  
გამოიხატებიან ავისა და კარგის გარჩევაში,  
გონების განვითარებაში, ე. ი. სოფლ-მხედვე-  
ლობის წრის გაფართოებაში და საერთოთ  
ინტელლეკტუალურ განვითარებაში. ჩვენ ვხე-  
დავთ, რომ ის ხალხები, რომლებიც ცხოვრე-  
ბასა და ბუნების ათასნაირ მოვლენებს მეტის  
დაკვირვებით, კრიტიკული ოვალით უყურებენ  
გონებრივათ გაცილებით მაღლა დგანან, ვინემ  
ისინი, რომლებიც დღესხევა ყველაფერს პირველ-  
ყოფილი ადამიანის ოვალსაზრისით უკერიან.  
ამიტომ არის ასე უსაზღვრო გარჩევა რომელი-  
მე კულტურული და ველური ერის სულიერ  
სუერაში. შედარებით დიდი და ოვალსაჩინო  
განსხვავება არის ოვით კულტუროსინ ერებს  
შორისა.

ჩეენი ქართველი ერი, ერთი უძველესი და  
თავისებური კულტურის მატირებელი ყოფილა.  
იმ დროს, როცა ოწ დაწინაურებული ერები  
ველურ, ან ნახევრად ველურ მდგომარეობაში  
მაინც ყოფილინ, ჩეენში განვითარებული ყო-  
ფილი მოქალაქეობი ცხოვრება. მერე ვინ  
ყოფილა ჩეენი ერის კულტურის მებაზობრე  
ისტორიულსა და საქრისტინო ხანში? მცხოვი  
შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვია - უმთავრესად  
და უპირველესად ჩეენი ქართველი სამღვდე-  
ლოება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი  
ღვაწლი მიუძლვის სასულიერო და საერო მწერ-  
ლობის შექმნა-განვითარებაში. დღეს კი ეს  
სამღვდელოება არა თუ მოწინავე, ერთ ჩამორ-  
ჩენილ ელემენტად ითვლება. თუმცა ეს აზრი  
სამღვდელოინაში ნაარტვება. მაგრამ, რომ

სამღვდელოებამ შეინარჩუნოს სახელი მოწინა-  
კე წოდებისა, რომ მისი პრესტიჟი საზოგადო-  
ებაში არ დაეცეს, ის უნდა ცდილობდეს,  
რომ გონიერი სამწყსოზე გაცილებით მაღლა  
იღებს: მაგრამ, საუბედუროთ, მიღრეკილებას  
ვონებრივათ განვითარებისადმი საზოგადოთ  
ვერ ვამჩნევა ჩვენ სამღვდელოებაში. რა გვეთ-  
ქმის ისეთ მღვდლებზე, რომლებსაც სკოლაში  
არ შეუხედავთ, მაგრამ გონიერივი განვითარე-  
ბისადმი გულგრილობა სრულებით არ ეძარიე-  
ბათ სკოლებში ნაწავლ მოძრვებს, თუ რო-  
მელიმე წოდების გონიერივათ წინმსვლელობის  
სასწორ-საზომათ ამ წოდებისავან უურნალ-გაზე-  
თების კითხვის სურვილს და მწერლობაში მის  
მონაწილეობას ჩავთვლით, დარწმუნებით შე-  
გვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სამღვდელოების  
უმეტესი ნაწილი ამ მხრით არაფერ სანუგე-  
მოს წარმოადგენს, რაგან ჩვენ კუჭის საკით-  
ხი უფრო გვაინტერესებს, ვინემ ფიქრი სული-  
ერ მოთხოვნილებათა დაკიაყოფილებაზე. ამას  
ცხადათ მტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჩვენ  
ძლიერ იოლათ გადავიტანეთ ერთი სასულიე-  
რო გამოცემის „მწყების“ სიკვდილი და გულ-  
გრილათ გუყურებით ამ ბოლოს დროის სარწმუ-  
ნებისა და მისი ინტერესების დარაჯის „ში-  
ნიური საქმეების“ სულის ღაფვას. ესეც რო-  
დის? მაშინ, როდესაც თითქმის ყოველი წო-  
დებისა და მიზართულების ჯერა თავისი სა-  
უთარი თრაგი აქვს. ამ ორგანოების უმეტე-  
სობის კი პირათ დაუსახავს ძაგება ყველა იმისი,  
რომაც კი სარწმუნოების სული უდის, რომ ამ  
საშვალებით მოთხოვთ ჩამოაშორონ ხალხი ეკ-  
ლესის. რა ხარებლობას ხედვენ ამაზი, ღმერთ-  
მა უწყის! ამიტომ თუ ოდესმე საჭირო იყო  
ქართველი სამღვდელოებისათვის საუთარი თრ-  
გინო, ეს ახლა არის; ისეთ დროს ერთიან-ერ-  
თი სასულიერო გამოცემის მოსპობა მომისწვევე-  
ბელი იქნება ჩვენი სამღვდელოების სიკვდილის-  
კენ მისწრაფებისა; მაშინ მ. „ნიკითორეზე“ უფ-  
რო შეგნებულ მღვდელსაც არა თუ მემანქანის  
როლს შესაულებიერნ, გაქანებულ მატარე-  
ბელს შეკიდებულ. მ.შინ ხომ ჩვენ ლანძმა-  
ქირების, ქავენის თვალში ჩვენი პიროვნების

დამურტებას და ფეხით გათელვას საზღვარი  
არ ექნება. მე გეტუე შენ, კამის მართოლი  
რომ ვიყოთ, საპასუხო წერილებს დავე-  
ბეჭდავენ! მაგრამ ამას ნუ ვიზამთ, ძირ-  
ფასნი თანამანო! ჩვენის ხელით ყელში  
დანის ნუ გავიყრით, მოსპობის გზაზე ნუ და-  
ვადგებით, ვიქენით არა თუ კვირეული და  
თვიური, თუ შეიძლება, ყოველდღიური გამო-  
ცემაც. ამისთვის შეერთებულ ქართველ სამ-  
ღვდელოებას საქმით შესწევს როგორც ქო-  
ნებრივი, ისე გონიერივი ძალაც. რა დიდი სა-  
ქმე იქნება თითეულმა ჩენგანმა არა ეკლესის  
საშვალებიდან თითო თუმანი გაღიხადოს წლი-  
ურათ საეკლესიო და საზოგადოებრივი შინა-  
არსის უურნალ-გაზეთისათვის, რომლის საშვა-  
ლებითაც მას შეეძლება თანამედროვე ცხოვრე-  
ბის მიმღინარეობას თვალური აღევნოს. რაღა  
ამ შემთხვევაში უნდა გამოეიჩინოთ მომჭირე-  
ობა? ის არ სჯობია, ფულის ხარჯვას ისეთ საქ-  
მეში მოვერილო, რომელიც ზარალის შეცა  
არაფერს იძლევა, როგორიცაა თუთუნის წევა  
და სხვა იმგვარი?

იმედი გვაქვს, სამღვდელოება ყურა-  
დლებით მოეკიდება სასულიერო გამოცემის საქ-  
მეს და გინსაკუთრებით დახმარებას გაუწევს  
„შინაურ საქმეების“, რომელმაც თავის ჩასხვი-  
სათანავე მიზნად დაიდა ეროვნება და ხარწმუ-  
ნება და დიდი სამსახური გაუწიო სამღვდელო-  
ების სარწმუნოების მტერთ წინააღმდეგ. სრუ-  
ლი დარწმუნებული ვართ, სამღვდელოება ყუ-  
რადლებით მოეკიდება ეურნალ „განთიადსაც“,  
რომელიც პირველი მერცხილი საქართველო-  
ში, როგორც სალეთისმეტყველო და ფილო-  
სოფიურ გელლეტრისტული ეურნალი.

მღვდ. ს. ჭუმბურიძე.

ერთ ფრიად საკულისხმიერო სამღვდელოების კრების შესახებ.\*)

წერილი სამეცნიელოდან.

მე, ამ სტრიქონების დაწერს, პომევი  
შემთხვევა წარსულს ავტისტოს თვეში, სამეგრე-  
ლოში, ახორციელებული მღვდელის და ბლაოლო-  
ჩინის ბიკტორ ბერიძის-მიერ მოწვეულ იმის  
საბლაოლოჩინოს სამღვდელოებათა კრებაზე  
დასწრებისა. მე დამინიტერისა უწყებამ, რომე-  
ლიც გამაცნო ერთმა მღვდელმა და რომელ-  
შიც მორიგ გასარჩევ კითხვებად აღნიშნულ  
კრებაზე დასახელებული იყო ახდად დანიშნულ  
ბლაოლოჩინის ბიკტორ ბერიძის-მიერ შემდეგი:  
1) მღვდლის ზნეობრივი ავტორიტეტის აღდგე-  
ნის მრევლთა შორის და მღვდლისა და მრევ-  
ლის შორის კეთილდამოკიდებულების გაუმჯო-  
ბესობის შესახებ; 2) მავნე ჩვეულებათა:  
ჩვეულებრივი ტირილის, ქორწილის, ზა-  
რით წასვლის და ქელებების მოსპობის  
შესახებ; 3) შესახებ ჩვენის გულგრილობისა  
საზოგადო მოლექტოადმი და სხვანი.

ბლაღონინმა სთხოვა კრებას ადგომით პატივი ეცა ახლად გარდაცვალებულ ღილებულ მამულიშვილის და მოქალაქეს ორილ ჯორჯაძის და სამეცნიეროში ცნობილ ქველმოქმედის პრინცესა სალომე მიურატის სსოფნისათვის შემდეგ ამისა შეუდგნენ ჩიგ-ჩიგად კოტხევ-ბის განხილვას.

დიდი კაბათი გამოიწვია კითხვებ შესხვებ  
მღვდლის ფრონტიტეტის აღდგენის და დამო-  
კიდებულების გაუმჯობესებისა მღვდლისა და  
სამრევლოს შორის. უმრავლესობა მღვდლების  
და მედიეოთნებისა დიდი უკმიყოფილებით  
მიეცება ბლაონინი ბერიძეს-მიერ გამოთქმულ  
აზრს იმაზე, რომ უმთავრეს მისებიდან  
მღვდლის ფრონტიტეტის დაცუმისა მრევლით  
შორის ბლაონინიმა დაასხველა თეთრ თანამედროვე

ରୁକ୍ଷ ମଲ୍ଲଦିଲେଖବୀ ଥେଣୁକରିଗୁ ଏ ଗନ୍ଧବେଳିଗୁ  
ଜ୍ଞାନ ହାତରିହେବା, ଥିଲାଟାର ବେଜୁତାର ଗାନ୍ଧିରୁଙ୍ଗ  
ବୀଶ ହିନ୍ଦ ଥିଲାଯୁଗ୍ମବୀ, ବେଳିବ ବୋଲିବ ଗାନ୍ଧିରୁଙ୍ଗ  
ବୀଶ ଏ ମନୀ ନିଜଟେରାକାର ଏ ଶୁଣୁଗୁରୁରାକ ଫର୍ମି-  
ନାଉରୁଙ୍ଗବୀରାତିର ଥିରୁଙ୍ଗବୀ ସାହେମୀ କରୁଣ ଗୁରୁ  
ଗୁରୁଲାମଦା. ମନିନାଲମ୍ଭିତ ମଲ୍ଲଦିଲେଖି ଆଲାଲାଦ  
ଦେବ ଏଥରୁକିପୁରୀବୀର ଧିଲାଲାହିନିଲାତ୍ତେବୀ, କିମ୍ବ ସା-  
ଶୁଣୁଗୁରୁର ତିରିନି କରୁଣାଦ ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନୀର  
ଗନ୍ଧବେଳିରୁଙ୍ଗବ ଏରିବ ଶାହାମାଦ ଗନ୍ଧବେଳିରୁଙ୍ଗବ  
ଏ ଥେଣୁକରିଗୁ ଥରିବ ଯା ଥିଲାମାଦଗୁର୍ବେଳିରୁଙ୍ଗବ ଯୁଗ-  
ଲାଦ ଯୁଗୁଗୁଲୁର ତିରିତ, ମାଗରମ ତୁ ମନିପୁ  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନୀର ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନ ତିରିବିଲାବ ତାତ୍ତ୍ଵିକିତ-  
ପ୍ରେମିଶ ହିଲ ଦାରୁମବିଶ୍ଵରୁଙ୍ଗବ ଯବାରୁତ୍ତିପୁର୍ବୁଲାମଦା,  
ମନ୍ଦେଶ୍ଵି ଅମିଶ ତ୍ୟାତ ମର୍ଗବିଲା ଶେଷଗ୍ରୁବିଲାମଦା  
ଏ ଶର୍ମିତ୍ତବିନ୍ଦୁଙ୍ଗବା.. ମନିନାଲମ୍ଭିତ ମଲ୍ଲଦିଲେଖି  
ଧିଲାଲାହିନିମ ଦେଖିଦେବ ଦାରୁମବିଶ୍ଵରୁଙ୍ଗବ ତାତ୍ତ୍ଵିକିତ  
ମିଳିପା ଏ ଯବାରୁତ୍ତିପୁର୍ବୁଲା ଦାରୁମବିଶ୍ଵରୁଙ୍ଗବ,  
କିମ୍ବ ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନୀର, ଗାନ୍ଧିଲେଖିବ ଥାରିବ  
ବାରି ମ ଦେଇଲାବିଶାବନ, କରୁଣାକାର କିମ୍ବ କରୁଣା  
କରୁଣାକାର, ଏ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-  
ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ, ଶବ୍ଦଗ୍ରୂହନାମ କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର  
କରୁଣାକାର, କରୁଣାକାର କରୁଣାକାର... ଶବ୍ଦ-

<sup>\*)</sup> ეს სტატია შემთხვენ ენერგიის უნდა დაბეჭდოს, მაგრამ განვითარების მექანიზმის გამო დაზიანდება.

და რაოგანაც, სოქვა ბლალოჩინმა ბერიძემ, ასეთი სააშხანაგო სამსჯავრო უკვე, მგონი, 1909 წ. ფორმალურად დაარსებული, ყოვლადუსამღვდელოების ეპისკოპოზ ლეონიდის დამტკიცებით, შაგრამ წარმოება ამ სამსჯავროისა, რაღაც მიზეზის გამო, შეფერხებულა და ორ დაწყებულა, უნდა მოვიყობოთ ეპარქიალურ კანცელარიაში საქმის ვითარება ამ „სამსაჯულოს“ შესახებ და ვიმეტადინოთ განხორციელდეს იგი და იწარმოვოს.

კრება შეუდგა მეორე საჭირო მორიტო კითხვის განხილვის შესახებ მოსპობისა სამრევლოებში ეგრეთ წოდებულ ჩვეულებრივ ტირილის, ქორწილის და ზარით წასვლისა. ბლალოჩინმა ბერიძემ სავსებით დაუსურათა კრების, თუ რა საშინელი ვნება მოაქეს საჯარო ტირილს, ქორწილს და ქელეხებს და თუ როგორ ინადგურებს ეკონომიკურად ოჯახურ მდგომარეობას და მასინჯებს ზერმარივიადაც თითოეულ ოჯახის წევრის პიროვნებას. ბლალოჩინმა ბერიძემ მისუა შემდეგი წინადადება კრების: „ჩემდამი რწმუნებულ საბლალოჩინოს ბლედლები და მედიეითნები შევეკრათ ერთმანეთს წერილობითი პირობით, რომ ჩვენს ოჯახებში დღევანდელ დღიდან ესპობთ ჩვეულებრივ ტირილს, ქორწილს, აუარებელ ხალხის მოწვევას და იმათთვის ძველებურად ქელეხების გამართვის. ვინც ჩვენთაგანი ამ პირობის დაარღვევს და საქელებო ტირილ-ქორწილს გამართავს, ის იხდის ჯარიმის, თუ მღვდელია - 200 მანეთს, სასარგებლოდ სასულიერო წოდების ქვრივ ობოლოთ სამზრუნველოისა; რომ ჩვენ ვალიდ უდიდენ ერთმანეთი, ვუქადაგოთ ხალხს უკლესიაში და ყოველ ურებაზე შესახებ იღნიშნულ მანე ჩვეულებით მოსპობისა და გამოვატანით ხალხს ფორმალური განჩინებანი ამ ჩვეულებათა მოსპობის შესახებ.“ მამა ბერიძის ასეთ წინადადების, ჩვენდა განსაკუიფრებლად, უმეტესობა მღვდელთა და მედიეითნეთა მიეგება დიდი წინააღმდეგობით. უკანასკნელნი ამტკიცებდენ, რომ ეს ჩვეულებები ხალხს შესისხომეცებული აქვს და იმათ ვერ შეელევა მოხასპობადო.

ჩვენ კი, მღვდლები და მედავითნები ვერ გამოვეთ შებით ხალხს, ვერ მოესპობთ ამ ჩვეულების, რადგანაც ჩვენც უზომო ნათესავები და ნაცნობები გვყავს, რომლებიც ჩვენს ჭირში და ლხნში ჩვენი თანაზიარნი უნდა იყვნენ მუდმ.. თუ მოსასპობით ჯერ სხვაგან მოიხოს და მერე ჩვენც მოესპოთო!

ი ასე შეჯელობს და აზროვნობს ჩვენი სამღვდელოება! რით განიჩრევა ასეთი შეჯელობა-აზროვნობა ცრუმორწმუნე ხალხის შეჯელობა-აზროვნი იმისაგან? ხოლის შეუგნებელი ელემენტები სწორეთ ასე შეჯელობენ: კარგის შემოტანას ეურჩებიან იმიტომ, რომ კარგი—ახალია და ცუდის მოსპობის წინააღმდეგნი არიან იმისოვას, რომ სიცუდეს დიდიხნიდან ვე შეთვისებულნი არიან. მამა ბიუტორ ბერიძემ გასუა საფუძლიანი პასუხი მოწინააღმდეგე მღვდლებს, ტირილ-ქორწილის და ქელეხების მოსარჩევებს, და ზოგიერთებს შესთავაზი ისეთი მწარე სიცუდები, მეცური სიმართლის შეამ-გესლით გაეღენთილი, რომ იმათ ძალა-უნებურად ენა ჩაგდებია და დაადუმა. მამა ბერიძემ საფუძლიანად ვრცლად და, ნათლად დაუმტკიცა აუცილებელი საჭიროება. აღნიშნულ მავნე ჩვეულებათა დაუყნებლივ გადაგდებისა ასე რომ ბოლოს მთელმა კრებამ მამა ბიკორის-მიერ შედგენილ განჩინებას ხელი მოაწერა, რომლის ძალით მამა ბ. ბერიძისადმი რწმუნებულ საბლალინოს მღვდლები და მედავითნები სპონსორ თავიანთ ოჯახებში ტირილ-ქორწილ-ქელეხებს და მღვდელი არ გაყვება არავის მოხარედ; ამათთან ისინი იქადაგებენ ხალხში და გამოატანიებენ ხალხს ამგვარ ჩვეულებათა მოსპობის შესახებ განახენებს. ის პირი-კო, ვინც ამ პირობას დაარღვევს მღვდელი ვალიდის ჯარიმის 200 მან. და მედავითნ-100 მ. სასარგებლოდ სასულიერო წოდების ქრის-ობოლოთ სამზრუნველოისა

შემდეგ ამასა ბლალოჩინმა ბერიძემ იღმრა კრების წინაშე კოხვა შესახებ ჩვენი გელვრილობისა საზოგადო მოღვაწეობის, რ და დასხველებით იღმინარა შემდეგი: ჩვენი, ჩვენი შეილების და ჩვენი ერთეულის

წინ-სლის, სწავლა-განათლების, ეკონშიურ და სულიერ წარმატების მიზეზი არიან საზოგადო მღვაწენი, მწერალნი, პოეტნი, ი-ტორიუსნი, პუბლიცისტნი, პედაგოგნი, რომელთა ნაწერებით იხტდება და იკვებება ჩეენი მოზარდი თაობა და ჩეენი ეროვნობა. როცა დასახელებულ ეროვნულ მოღვაწეთა შედარებით მყირე გუნდს გამოკლდება რომელიმ თვალისაჩინ წევრი და სახელმომართო მამულმშვილი, როგორიც იყვნენ მაგალითად პროცესორი ა. სახანაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და არჩილ ჯორჯაძე, მთელი ქვეყანა აღაპარიყდება. ყველა აქადემიურ გულისტივილს და რითიმე სურს იღნიშვის დიდებულ ქართველის სიკვდილი, მაგრამ ამდროს, ჩეენდა სამარტვინოდ, მღვდელები მიკვემდით სრულს მდუმარებას, ჩეენ არ გამოვემაუქებით ზომები საზოგადო მწუხამებას და არსად არ ისმის ჩეენი თანაგრძნობის ხმა. იმისთვის დიდი სახურეველია ერთ ერთ პირს დაევლოს თვალყური ადევნოს და, როცა რაიმე უბედურება ეწვევა ჩეენს სამშობლო საქართველოს, ჩეენი გულისტივილიც შეუერთოთ სამშობლოს კენებას.. კრებამ გულ მოდგინედ მოისმინა ეს წინადადება და ერთხმად მიაწლო თვითვე ბლისლონინს თვალყური ადევნოს ასეთ სამწუხარო შემთხვევებს, თუ საკირო იქნება კრებაც მოიწვიოს, და მღვდელების სახლით და იმათვე ხარჯით გამოატაცოს სასურევლით თანაგრძნობა წერილის, დეპეშის საშუალებით და ან პირიდის დაწებებით.

კრებაზე სხვა კითხვებიც იქმნა განხილული, მაგრამ მე მხოლოდ უფრო საყურადღებო და სადღესის პინდა გვაცნო მკითხველებს. იღნიშვილ კრების გათავების შემდეგ ბლისლონინი პ. ბერიძე დაუყოვნებლივ შეუდგა ამ კრებაზე დადგენულ სიტყვისა და პირობის საქმედ ქსევას და განხორციელებას: რამოდენიმდე დღეში მან მოირია ხეოთ სოფელი და ხეოთ ეკლესის სამრევლოს, რომელთა შორის ერთ მსამართ რწეულებული ილივერტის ეკლესის სამრევლოა, უქადაგ, დარწეულა და გამოიწანია უკონდელური განჩინებანი იმის შესხებ, რომ სინი დღევანდელი დღიდან სპონსორ ჩეენლ.

ბრივ ტირილ—ქორწილს, ზარით წასულის და ქელებების გამართვის; და, მოკვედება თუ არა რომელიმე წევრი თვალის, მოვალედ ხდიან თავიანთ თავს მესამე დღეს ეკალესიაში გაასვენონ, წირვა მოსმენიონ, ნათესავ—ნაცნობები წირვაზე მოიწვიონ დასასწრებლად და უკანასკნელ გამოსათხოვებლად, იქვე შეასრულებიონ ანდერძის ავება, და სახლში კი სადილი მოუშავონ მხოლოდ შორეულ ნათესავებ კირისუფლებს და დანარჩენი მეზობლები და სოფლის საზოგადოება კი ისადილებენ თავიანთ სახლებში, როგორც ყოველთვის...

ბლალობინმა ბერიძემ, გაითვალისწინა — რა სილარიბგ ბერი თვალებისა, რომელთაც მართლაც უმნელდებათ ხოლმე მიცვალებულის გასვენებისათვის ანუ ქლის გათხოების დროს საჭირო ფერლის შონი, მისცა სამრევლოებს წინადადება, რომ დაიარსონ ამისთანა შემსვევებისათვის სამხანგო დამშვარებელი კასები და თითო წევრმა გაიღოს იმდენი, რომ გაჭირვებულის ოჯახს შემოუვიდეს 30-35 მანეთმდის, მაგრამ სადილზე იმ ოჯახში, რომლის სისარგებლოთაც ფულა შემოიტანეს წევრებმა, არამაც და ირამც არ უნდა დაესწრენ.. ასეთი წინადადების თანაბეჭდ კიდევაც დაიარსეს ზოგიერთებმა დასახელებული კასები იქ, ხადაც პირობის ძალით ტირილ-ქორწილი მოსპობილ იქნა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, არამც თუ სამრევლონი, არამედ თუ-თ სისულიერო პირნიცა მამა ბერიძისადმი რწმუნებულ საბოალოებინოსა წინააღმდეგნი იყვნენ ზემოდასახელებულ მავნე ჩევეულებათ მოსპობისა, მაგრამ ადამიანის, იღსავეს ძლიერი ენერგიით, გამსჭვალულს ღრმა სურვილით ხალხის დამაბრკოლებელ წინ სელისთვის ხნე ჩევეულებათ და მიღრეკოლებათადმი და ადამიანს იღსავეს ვარა უებული სურვილით კეთილის დანერგვისა და ბოროტის მოსპობისა, დამრკოლების არ ეშინა. იყი იდეალის, სიმართლის, კეშმარიტების ხახელით უმკლავება და იმარჯვებს სიბრელე-სიმრუდეზე ასეთ ადამიანს უკუთხნის მ. ბიურუ ბერიძე და მით იხსნება ის, რომ მან უქმდო გაფლებებისა

შის მოძინის სულის სიღრმეში მირულული ნაპერწყალი ღვთიურ ცეცხლისა და ორამც თუ თვით გამარჯვეა, არამედ მიანიჭა გამარჯვება თვის მოძმესაც, გამოიყვანა რა უკანასკნელი უყოფიანი და მტკიცე მოსარჩლედ სიმართლის. მათ ბიკორ ბერიძე როდი კმაყოფილდება იმ გამარჯვებით, რაიცა ხვდა წილად იმის პირველ გამოსვლას ბალალინის დიდად საპასუხისმგებლო ასპამეზედ, იგი არ კმაყოფილდება თვის საბალალინოში ტრიალს, ორამედ იმის განზრახვა აქვს თვის სამოქმედო ასპარეზი გარდიტანს სამეცნიელოს ყველა სამრევლოებში, ამაზე ნებართვის აღება თუ მთახერხსა, და მისივე მზგავსი მავნე ჩეცულებათადმი ბრძოლის წყურვილით გატაცებულ პირთ, დამარჯებით მთელი სამეცნიელოს სამრევლოებს გამოატანიოს განჩინებანი შესახებ ზემოდასახელებულ მავნე ჩეცულებათა მოსპობისა. საონადო ნებართვისათვის მათა ბიკორ ბერიძეს მიუმართავს შეამდგომლობით მისი ყოველად უსამღვდელო ესობის ეპისკოპოს ლეონიდისადმი და მისს შეუფებას უბრძანებია შემდეგი: „მე სასურველად მიმაჩნია აღნიშნულ მავნე ჩეცულებათა მოსასპობად ლონისძიების გამოსამებნელად მოვახდინო მთელი სამეცნიელოს ბალალინების კრება ამა მდგომარე წლის ოკუმბერში ინუ ნოემბერში, რომელ კრებასაც მეც დავესწრები, და იქ გარდავწყვიტო ყოველივე შესახებ მავნე ჩეცულებათა მოსპობისა და გამსისხებელ კასსის დაარსებისა, როგორც საუნაშობესო იქნებ“. —

მდვერი მ. ხ—იან.

მისი მუშავების უოვლადსამდგრელო კითერების კანკარულება ჩა კრების შერნალების შესახებ

ამ დღეებში ეპისკოპოზის კანკულარია უგზავნის ბალალინებს ცირკულარს, რომლითაც აუწყებს სამღვდელოებს მისი შეუფების განკარგულებას შესახებ სამღვდელოების უკანასკნელი კრების უზრუნალებისა მის მეუფების შემდეგი უზრუნველებელი უნებია: უურ. № 15

მღ. მ კელენჯირიძის წიგნის,, გაბრიელ ეპისკოპოსი,, შეძენის შესახებ. „წინადადება ეძლევა ბალალინებს გამოიწერონ სხენებული წიგნი მ. კელენჯირიძის საეკლესიო სამკითხელოებისთვის“. უურ. № 17 არხიმანდრიუ ნების წიგნის „კეთილი თესლი“ გამოწერის შესახებ. „,თანამდე ვარ, მიეწეროს ბალალინინას.“ უურ. № 29 სამღვდელოების ჯამაგირებიდან 2<sup>0</sup>/0 და კავებისა ნცვლიდ 41/2<sup>0</sup>/0. „უარი ეყოს დადგენილობას, დარჩეს წინანდელი წესი, რადგანაც გასავალი სასულიერო სასწავლებელთა შესანიშად უფრო გაღიღდდა და არა შემცირდა“. უურ. № 36. შესახებ დეპუტატების საკირო ხარჯის და მისის ყველები - მოსასვლელ ფულის გაღებისა სანთლის დუქნიდგან, ან ეკლესიებიგან. „1) უმეტესი ნაწილი ჩევნი ეკლესიებისა იმდენათ დარიბია, რომ არ შეუძლიან დააკმაყოფილონ თვით არსებითი თვის მოთხოვნილებანი, ამიტომ არც არაფერი შეუძლიათ გაიღონ დეპუტატების ხარჯად, 2) არაფერი არ შეუძლია მისცეს სანთლის საწყობმაც, რადგან მას ევალება ეპარქიის უფრო არსებით საკიროებათა დაკმაყოფილება, 3) ქართლის ეპარქიაში თითეული საბალალინოს სამღვდელოება თითონ თავის საკუთარ საშუალებიდან უნიშნავს თავის დეპუტატს საკირო ხარჯს; ასე იყო იქ ამ ცოტა ხნის წინათ. ყველაფერი რომ სანთლის ქართვანას და ეკლესიებს, დავატეხო, არ შეიძლება.“

სხვა უურნალებზე, როგორც პირადათ გავიგეთ, შემდევი განკარგულებაა მოხდენილი. უურ. № 9 შესახებ სანთლის საწარმოები კანტრაქტოს შევკრისა ველითის მონასტერითან. „ჩემი კანკულარია მიუცილებელათ მოძებნის პირობის პროექტს, სადღაც მიგდებულს ქარხნის გადატანის დროს ველითის მონასტერში და ამ უურნალთან მომახსენებს“. უურ. № 8 რომ მღ. კელენჯირიძეს ეპარქიას სანთლის დუქნიდგან გატანილი ვაღი 402 მანეონ,,, თანამდე ვარ.“ უურ. № 1 რომ სანთლის დუქნის კამიტეტი წარუდგინოს მის შეუფების დასაბუთებული წერილობითი ახსნა იმ 219 მანეონის შესახებ, რომელიც საქართველოს საეკანხოსტოს

სანიალაგო სარევიზიო კომიტეტის ანგარიშის  
თანახმად ვაღიარ ედება სანთლის დუქნის ვამ-  
გეს მ. ე. ჭობონელიძეს. „ასრულდეს“ უურ: №20 შესახებ 1902 წლის პროგრამის განცვე-  
ნისა საეკლესიო შეკლებიდან., გადაეცეს სა-  
ეკარქიო სამოსწავლო საბჭოს. „ უურ. №3 შესა-  
ხებ საქალებო სასწავლებლის შენობის გაფართო-  
ების სმეტის დამტკიცებისა.“ სმეტა იყო წარ-  
მოდგენილი 40000 მ. ,თანხმა ვარ. დამზად-  
დეს მისი მეუფების ეგზარხოსის სახელმბა-  
ზე შუამდგომლობდა. უურ. № 35. იმ უურნა-  
ლით კრებამ, გაითვალისწინა რა ჩვენი ეკლე-  
სიებისა და სამღვდელოების ნივთიერი და ქონე-  
ბრივი უმწეო მდგომარეობა, საჭიროდ დაინა-  
ხა დეპუტატის პირით გააცნოს ექსარხოს ეს-  
მდგომარეობა და სთხოვოს დაუყოვნებე-  
ლი განკარგულება. იმ უურნალზე მისმა მეუ-  
ფებამ შემდეგი განკარგულება ინება: ,, არჩე-  
ული კომისია დამზადებს წერილობით მოხსენე-  
ბას აქ იღნაშნულ საკითხების შესახებ (თითე-  
ულზე ცალკე) და წარმომიდევნს მე, რომლის  
შემდეგაც მოხდება შესაფერი განკარგულება.“  
უურ. № 18 იმ უურნალით კრებამ სურვილი  
გამოსთვევა, რომ თითეულმა კრებულმა შეადგი-  
ნოს თავის ეკლესიის და მასში მყოფ სიძეველთა  
მოკლე მოთხრობა და გადასცეს საგარქიო  
კინცელარის დასაცავად, ხოლო პირი თვით  
ეკლესიაში დასდგოს. მისმა მეუფებამ ინება:  
,, თანახმავი.“ უურ. № 37 მ. იასონ აბესა-  
ძის მიერ შებილწული უურნალი შესახებ გას. „, შინ საქმეებს“, გამოცემისა მისმა შეუფებაშ  
არ დაამტკიცა.

როდესაც იგი უმანკუ, მაღალ პატიოსნებით  
შემკულია და გაჭირვებულთა გულ-შევარეკი-  
რობით, მოძმისადმი სიბრალულის გრძნობით  
არის ღვთისაგან – დასაჩუქრებული....

დიახ, გული მტკიფა. შავი ფიქრები მქენ-  
ჯნიან, არ მასვენებენ, როდესაც ამგვარ პირების  
სიკეთლის გავიგონებ ხოლმე.

დღესაც ხომ სწორეთ ამ გვარიათვე დამა-  
ლონა და დამაფიქრა განსვენებულ ნიტალია  
დავითის ასულის უორდანის უღრიოვოთ გადა-  
(გვალებაში?)

ნატალია ეორდანიასი, ერთად ერთი ასუ-  
ლი იყო ჩვენში კარგათ ცნობილ ო. დავით  
ოტალიძე ნიქარაძისა. მშობელს უკელის უკეთას  
თავისი პირმშო, თავისი ღვიძლი შეიღი. ეს  
საზოგადოთ ინსტიტუტიური მშობლები გრძნო-  
ბაა, მაგრამ დავითისა და მისი ასულის მშო-  
ბლებიური გრძნობაა ამ გრძნობას აღმატებოდა.  
მას გაგიჯებით უკვარდა თვისი „ნატაშა“ და  
ნატაშასაც იშვიათი გრძნობით უკვარდა,  
ეთაყვანებოდა თავისი მამას, მის სახელი, მის  
მოლვაშვილისა..

მოყვარულ მამას არ დაუკლია თევის სა-  
კვარელ ქალისათვის არაფერი, არც გონიერი  
აღზრდა, არც სწავლა — განხოლება და არც  
შოთა-პეტრონება.

განსცენტრიზებული ნატალია მშვენიერათ აღზრდა-  
ლი იყო. კარგათ იყოდა თვეის სამშობლო  
ქართული ენა, რუსელი, ფრანგული. საფრან-  
გოში ხანგრძლივი ყოთნის დროს საკმაოდ  
განვითარდა და ჟენებული და მომზადებული  
ცხოვრებასთან საბრძოლელით, სრული იმედე-  
ბით აღქურვილი, დაუბრუქ და თვის ქვეყნას.  
განსცენტრიზებული ნატალია დ. ნოლოვავში ვეფ-  
ანი პირველის. იგი მეულელი იყო იქაურ

ნიტალია დავითის ასულის უორდა.  
602-ს წლებისა.

(მთავრნობა)

„Какъ мало прожито, какъ много пережито“

## Надсонка

აქმის ბ. ი. ეკიდანიასი. მეც იქ მაშინ მომ-  
რიგებელ მოსამართლეთ ვმასხურებდი. მისმა  
გულწრფელმა, ხრლილობიანმა, უბრალოთ შე-  
ხვედრამ მყისვე მომხილა, თავი მომაწნა. შე-  
მდეგ ში კიდევ უფრო ახლოს გავიცანით ერ-  
თმანეთი. ჩვენს მიმართულებას და რწმენას,  
ბევრი საერთო საგანი აღმოუჩდა საზოგადო  
ასპარეზე მოღვაწეობის დროს. რაც დრო მიღი-  
ოდა—ნატალია დავითის ასული უფრო მეტს  
ჰატივისმცემლებს პოულობდა. ნაოლალევის სა-  
ზოგადო ცხოვრებაში განსვენებულმა ბრწყინვა-  
ლე იმედებით შეაშუქა. გააღვიძი საზოგადოება.  
საზოგადოებამც მალე იცნო მისი მოკეთე, მო-  
მაგრე, ჰატიოსანი არსება. საქალებო სასწავლებ-  
ლის მართველობამ საპატიო ზედამხედვე-  
ლის-მხრუნველის სავარძელი დაუთმო. აღი-  
ლობრივი თეატრი და სამკოხველო მის ჰატ-  
რონობაში იყო და რამოდენიმე ხის შემდევ  
განსვენებული ნატალია დავითის ასული—„ჩვენ  
ნატაშათ“ მონათლეს.

განსვენებულმა თავის უმანჯო და ლრმა  
სიყვარულით, შეძლებისა გვარათ სასარგებლო  
მოღვაწეობით, თავის ხან მოკლე ცხოვრების  
დროს, ისე შეაყვარა საზოგადოებას თავი,  
რომ იმას ნატალია დავითის ასულს აღარ ეძა-  
ხდენ, მის „ნატაშას“ უწოდებდენ და ლირე-  
ულ ჰატივის ცემითაც ეპყრობოდენ.

ჩემს სიცოცხლეში არ დამაკიტუდება ერთი  
გარემოება: ერთ ზამთარში, განსვენებულ ნა-  
ტალიას თასნინით, ფულები შევკრიბეთ,  
თვითონ ათ მანეზე მეტი შესწირა... ამ ფუ-  
ლებით ნაოლალევის მოსწავლე ახალგაზრდობას  
„შობის ხე“ ვაფეშვეთ. მშენიერი ლამე იყო.  
ბადრი მოვარე ელექტრონის სინათლის მაგიე-  
რობას გვაწევდა. თეალებ-მკინარი მხიარულით  
დავკეთაოთბდა თავზე. სასწავლებლის ეზო  
საესე იყო ხალხით. ბავშებზე უფრო მეტს დი-  
დებს მოეყირა თავი. დიდი, ჰატარა ყველა  
მოწიწებით ადეკნებდა თვალ-ყუჩს განსვენე-  
ბულის მრობის, განკარგულებას.

ბავშვების საჩუქრების დამზადებამ, „შობის  
ხის“ გაწყობამ და წვრილ-წერილმა განკარგულე-  
ბამ ისედაც სუსტი აგებულება ნატალიასი კი-

დევ უფრო მოქანდა, სრულებით დაასუსტა,  
მაგრამ ცოცხლით, სიხარულით გატაცებული  
მაინც დარბოდა და საქმიანობდა.

„შობის ხე“ დიდ დარბაზში გვაწყვეთ,  
მაგრამ ხალხის ნახევრობა სულ გარეთ ეზოში  
იდგა. დარბაზის კარები დავალეთ ყველის თა-  
ვისულათ დავანახეთ „შობის ხე“.

ლამის წყვდიაღში, სანთლების შუქზე ამა-  
კყვიალებულმა ხემ ყველა მოხიბლა, ყველა გაა-  
კვირვა. ხეს გარს ერტყა ყმაწვილები და ლექ-  
სებ - სიმღერებით ამყობდენ მის სილამაზეს; კი  
ხანს გასტანა ამ მხიარულებამ. ხის მოშორება,  
შინ წასვლა ირავის არ უნდოდა.

მასხსეს, ბოლოს ბავშებს, „შობის ხის“  
მიშვენელობა ავუხსენი და თან დაესძინე:  
„ბავშვებო! ამ სიამოვნებისათვის თქვენ უნდა  
უმიღლობდეთ ქ. ნატ. დავითის ასულს და თან  
ხელით ვუჩვენ მათკენ. იმან გაგიწყოთ ეს  
დღესასწაული, იმან იზრუნვა თქვენზე დედო-  
ბრივის ზრუნვით და თქვენცალდებულიხართ,  
მიხვიდეთ და მაღლობა გადაუხადოთ. ლიდე-  
ბული სურათი იყო. მე ჯერ კიდევ არ მქონ-  
და გათავებული სიტყვები, რომ მოელი ბავ-  
შვების გროვა მიესია და ტაშის ცემით, კიფი-  
ნით მაღლობა გადაუხადეს. ამას დიდებიც მო-  
ყვა და მოელმა დარბაზმა იგრიალა. განსვენე-  
ბული, ლრმა ნასიამოვნები, ლიმილით სავსე  
ტუჩებით, მაღლობას უძლვნიდა ყველის და  
ნელნელა გარეთ. შეილის ეზოში გამოდიოდა.

ერთხელ საიდგანლაც შეუტყვია განსვე-  
ნებულს, რომ პრ. ლიუსიენს და მის მოუ-  
რავს ალ. ბ-ძეს ჩემგან ათ მანეთამდის ერვე-  
ბოდა. ეს ფული ქუთ. ოლქის სასამართლო-  
დგან იყო გამოგზავნილი მათ ვადასაცემათ.

განსვენებულმა, ჩემ დასწრებით, ორიეს  
გამოხხვა ეს ფული და მათის სახელით ად-  
გილობრივ საქალებო შეკლის შესწირა.

ამ გვარი ზრუნვა და საზოგადო საქმისად-  
მი მიღრეულება განსვენებულს ამშვენებდა  
და ხან-მოკლე სიცოცხლეს ულამაზებდა. მაგ-  
რამ...

მაგრამ, ვაი, რომ გაუმაძლო მიწასაც  
თურმე კარგები ყვარებია!?

იურ კარგებს კრეფს ცოცხლებთა შორის  
და თავის ცივ უგრძნობელ გულ-მყერდში  
იხუტებს.

შენც ხომ ეს ბედი ვეწია, მაღალ პატიო-  
სნებით შემუშავო იღამიანო?!

მაში, დამშეკიდდეს შენი სუსტი, ნაზი,  
გრძნობით სავსე ივათმყოფი გული!

რაც შევეძლო, ნითლათ აღისრულე აღა-  
მიანური შეჩი მოვალეობა!

კურვინ კერაფერს კერ გისაყველურებს....  
მუდამ სინათლისაკენ ივლტოდი, სინათ-  
ლე იყო შენი მოღვაწეობის „დევიზი“ და ამა-  
ვე სინათლემ გააშუქოს ახლანდელი შენი მგზავ-  
რობაც; ბრწყინვალე სკერით - ზარავანდედათ  
ზაადგეს ივი შენს, ჯერ ისვე ახალ-გაზდა,  
უმანკო სულის სავანეს — შენს საფლავს!

ତେଣ୍ଡ. ଶୁଣିଗାନ୍.

600335

ნინოვბას, ოქმული ქუთარისის საკრებულო ტაძარში 14 იანვარს 1914 წელს.

წმ. მოციქულთ სწორი ქართველთა გან-  
მანათლებელი ნინო, რომლის ხევნებისაც დღეს  
აღვასრულებთ, იყო კაბალეუილი ქალი, ბიძა-  
შვილი წმ. მთბე. გორგისა. კარგათ ის არის  
გამორკვეული, რომელ ეტოვნებას ეკუთვნოდა  
იგი ჩამომავლობით. რიგვან იმ დროს კაბალე-  
კაში ქართველებიც მოხსელეობდნენ, ამიტომ  
ფიქრობენ, რომ იგი ჩამომავლობით ქართვე-  
ლი უნდა ყოფილყო. იმას გვაიძულებს ვიუა-  
ქროთ ის განემოქაც, რომ ნინოს ხელმიწვე-  
ნით უნდა სცოდნოდა ქართველი ენა, რომ  
ექიდიგნა ისეთი მაღილი სწავლა, როგორიც  
არის ქრისტიანული სწავლა; თუმცა არც ის  
არის განვითარებით, რომ ქოროვლი ენის ცოდ-  
ნა ზის სისწაულებრივ მიერო, როგორც ის  
უკემთხვე სატრიუმფონ მოსულ მამებს, რომ  
ლებაც შემოსდგეს თუ არა ფეხი საქართვე-  
ლოში, მაშინევ ქართველი იშვებს ლიბარიკი  
და ამ ენაზე მოსალებენ მაშინდელ მასების კა-  
თალიკოსს წმ. გვარიგორს. ნინოს დედმიმაშ ად-  
რე დასტურებს კამათუკია და იურისილიშ გა-

დაისახლენ, სადაც იმ დროს პატივისმობდა წე. ნინოს გადა იმპერატორი. იგინი მალე დაშორდენ ერთმანეთს და თავი შესწირეს ქრისტიანობის გა-ვრცელების პალესტინელ წარმორთო შოთას, ზოლო თორმეტი წლის ნინო აღიზარდა იერუ- სალიმში, იქვე გაუჩინდა მას აზრი ქრისტიანო- ბის გავრცელებისა საქართველოში და იქედა- ნვე წამოვიდა იგი თავის განძრავის განსახორ- ციელებლად. ბევრი დაბრკოლება განიცადა წმ. ნინომ გზაში იერუსალიმიდან საქართვე- ლომდი, ბევრი გაჭირება ნახა თვით მცხ- თას ქრისტიანობის ქადაგების დროს, მაგრამ ყოველივე სწლია სუსტმა ქალწულმა და ბო- ლოს მიაღწია მიზანს; გაანათლო ქრისტეს სწა- ვლით მეუჯ მირიანი და დელფინი ნანა და მოპტინა ქრისტიანობა მოელ საქართველოს; და ეს შესძლო, ვიმეორებ, სუსტმა ქალწულმა, უ- ხო ქვეყნიდან მოსულმა... კეშმარიტად საამაყო უემთხვევა გაქოთ, დედებო, მანდილოსნებო! ქალმა გაანათლო საქართველო, ქალმა მოპტი- ნა ქრისტიანული მეცნიერება ქართველ ერს, ქალმა გამოიყენა ქართველი ერი კერპთაუე- ნისუმის სიბნელისაგან, ქალმა ამცნ კეშმა- რიტება ქართველს და დააყენა იგი საკაცობრიო ცხოვრების გზაზე, ქალმა აუზილი თვალი დე- დოფალს ნანას, გამოუბრჩყინა კეშმარიტი შე მეცნიერებისა მეუჯ მირიანს, მოელ ქართველ ერს და უჩენებ გზა სამოთხისკენ მიმავლი. ია- მაყეთ, დედებო! ქალმა მოგხადთ დანაშაული. ქალისაგან მოხდა დაცემა, მაგრამ ქილისაგანვე მოხდა აღდგომა. ევდ ჩააგდო ადამი წყვეში, მაგრამ თესლმან ქალწულისა მარიამისამან დაიხსნა იგი წყევისაგან. ქალისაგან შემოვიდა საცოტურება და სიკვდილი კაცობრიობაში, ქა- ლმავე შემოიტანა აღდგომი, ცხოვრება და კე- შმარიტება. იამაყეთ ქართველო დედებო, ქა- ლმა იღადგინა საქართველო, ქალმა გამოიცი- ცო საქართველო ჯოჯოხეთს, ქალმა დამატარ- ია საქართველოში სასუფეცელი ლითისა. იამაყეთ, თუ შეგიძლიათ სიამაყე. მაგრამ, საუბრეტით ჩემდა, კედება, რომ გაელიათ თქვენი მდგრა- ძობის. შეგნება და, მაშისადამ, ვერც იამაყებო დაქმანდელი შემთხვევეთ. შეიდა ნინო თვის

მიზნით სულ განმარტებულად ვეზჩენება ქართველ ქალთა და საზოგადოთ თანამედროვე ქალთა უდაბნოში. მიზანი წმ. ნინოს სულ არა ჰვიტი იმ მიზნებს, რომლებსაც ემსახურება, რომლებისთვისაც იღწვის და იძრდვის დღვინდული ქალთა საზოგადოება. ნინო ეტანება ცას, ესენი ეკარიან მიწას; ნინო ესწრავება სამარალისს, ესენი ებლიუჭებიან წარმავალს, აჩრდილს და კვამლს, ნინო სოფეს კეშმარიტებას, ესენი კორებს და სიცრუეს; ნინო ავრცელებს სარწმუნოებას, ესენი ურწმუნოებას; ნინო ამყრებს საქართველოში ოვთის სასუფევლებს, ესენი ჯოჯოხეას; ნინო პპოებს განსვენებას ლეთის სჯულში, ქრისტეს მოძღვრების განხორცილებაში, ესენი ტანცებში, ბანქოში, ლოტოში; ნინო უწოდებს ქართველებს ეკლესიაში, ესენი კლუბებში, თეატრებში, ბალებში, ვეზჩერებში. ნინო პპოებს თავისუფლებას სარწმუნოებაში, ესენი ეძებენ მას პოლიტიკაში; ნინო ამილებს ზნეობას, ესენი ამცირებენ; ნინო პქალაგებს სულიერ სიყვარულს, ესენი ხორციელს; ნინო ებრძის ეშმაქს და მის მანქანებას, ესენი ემორჩილებიან მის და ებრძიებიან ეკლესიას და სარწმუნოებას. ასე სხვადასხვაა ნინოსი და თანამედროვე ქალთა უშეტესი ნაწილის მიზანი და მისწარუება; ამიტომ არც იქვთ საბუთი იამაყონ დღვევანდელი შემთხვევით. დარწმუნებული ვირ, არც ახსოეს ბევრს წ. ნინოს დღეობა და თუ გიხსნებებს ვინმე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავის მეგობარ ნინოს დღეობა მიულოცის და ვიზიტი გაუკეთოს. არც თვით ნინოებს ახსოეთ თავის მოსახელე ქართველთ განმანათლებული. მათი ზრუნვა დღის ტორცებით და ტბილეულებით განისაზღვრება, ისინი დღის სტატიანებინ გადავიტოვონ საზოგადოება და არა თავის სარწმუნოებით, ისი წმ. ქართველთ განმანათლებელ ნინოს პატივისკემით, არამედ ჩერული სტუმრების პატივისკემით და დიდი მასპინძლობით. კეშმარიტად სამწუხაროა მხერი დამცირება და დაწინება ქალთა საზოგადოებისა; სწორეთ საკალალოა დამიანური მიზნის ასეთი დახურდებები. „ვირთა, მართა, ზრუნავ და შეკოთხა მრავლისათვის, ხოლო აქ ერთია

არს სახმარ.“ უთხრა მაცხოვილმა მრავალი მასპინძლობისათვის მხრუნავ მართას, და ჩენებული იმავე სიტყვებით უნდა მიემართო თანამედროვე ქალებს; ზრუნავთ და შეკოთხეთ მრავლისათვის და დაგივიწყებით უმთავრესი — სჯული და სარწმუნოება, რომელიც აძლევს ადამიანს სრულ კმაყიფილების და კირსაც კი ლხინად უქცევს. არ შემიძლია არ ვუსაყვედურო დღეს ჩენით ქართველ პატრიოტებსაც, რომლებსაც აქლიათ კეშმარიტი მოღვაწის, სამშობლოს მოამიგის და მოკირნასულეს პატივისცემა. ნინომ შექმნა საქართველო, მან დაიცვა ქართველთა ეროვნული სახე, მან შეინახა ჩენი ტებილი დედაენა, და, თუ მათ საქართველო უყვირთ, დღეს აქ, ნინოს ხატის წინ უნდა იყვნენ პირქვე დამხმარებლი, ნინოსთან ერთად უნდა იხსნებდენ თამარს, ქეთევანს, შუშანიკას, ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ მთავრებს და მეცენებს და მათი მაგალითო მხევდებდენ და ამხევებდენ სხვებსაც.

უფალო, ნუ გააქრობ კეშმარიტ მამული-შვილობას ქართველის გულში, უფალო განუმტკიცე ქართველს სარწმუნოება, მაცხოვარო, აღაორმინე ქართველი დედები და აწავე მათ პატივისცემა ნინოსი, იღძარ გული მათნი სმენად და აღსრულებად სახარებისა შენისა, შეავარე მათ წმ. ეკლესია, განაშორე მაოგან გამრყენელნი და დამაბნელებელნი ვნებანი და განცრომანი, ასწავე მათ სმენა ქადაგებისა შენისა მსგავსად მარიამისა დისა ლაზარესი, რომელი იჯდა ფერთა შენთა თანა და ისმენდა სიტყვასა შენისა, განაშორე მაოგან ზრუნვა მრავალი და აღმარ იგინი ქადაგებად სარწმუნოებისა, კოთარცა ოდესმე ნინო იღძარ განსანილებლად საქართველოსა! უფალო, გასწავე ჩენებ ჯერუნად დიდება შენი, და პატივისცემა წმიდათა შენთა, უფალო, მოგვეც ქვეყნიური კეთილ-დღეობა და ნუ დაგვარლებ ზეცისა შენსა სასუფევლსა, მეოხებითა წმიდისა მოციქულთა წორისა ქოწულისა ნინოსითა. მინ.

მღ. ს. მეცნიერე.

## სოსუმის ქართული ეკლესია.

სოსუმში დღემდი ქართული ეკლესია არ ყოფილა, თუმცა ნახევარი სოსუმი მანც ქართველებით არის დასახლებული. კი დღეს ყოფილ ეპისკოპოზ ანდრიას წყალობით და ზოგიერთ ქართველ ახალგაზღების თაოსნობით, რომელსაც სათავეში უდგია ცნობილი მოღვაწე ნიკო თავდგირიძე, ჩაეყარა მტკიცე საძირკველი ამ ფრიად მნიშველოვან და მრავლის მომასწავებელ სარწმუნოებრივ საქმეს. უმეტესობა ჩვენი ნასწავლი თაობისა, საზოგადოთ, გაურბის სარწმუნოების საქმეს. როგორც იტყვიან, „ქუდი რომ ეკლესიაში შეუგდო, გამოსატანადაც არ შევლენ,“ და ეს მიაჩინიათ დიდ განათლებათ, დიდ დაწინაურებათ - კულტურულ წინსკლაში. ასეთ დროს ისეთი პიროვნების სარწმუნოებრივ საჩინოზე სამოღვაწოთ გამოსესა, როგორც არის პატრიუმული ნ. თავდგირიძე ფრიად მნიშვნელოვანია და მასთან დიდათ სასიარული კველისათვის, ვისაც კი ქრისტიანობა ოდნავ მანც შეჩერინა და აფასებს სარწმუნოების მნიშვნელობას იდამიანთა ცხოვრებაში. უსურვებთ ბ. ნიკოს სრულ გამარჯვებას დაწესებულ საქმეში და ჩვენი მხრით კველისა კსონებთ ნიკოგირი დახმარება აღმოაჩინონ. შეწირულება მიიღება „შინ. საქ.“ რედაქტიაში. სოსუმის ქართულმა ეკლესიამ ამიტრილგან უნდა შეკრიბოს სოსუმის ოლქის მართლმადიდებელი ქართველობა და დაუკავშიროს იგი სრულიად საქართველოს დედა ეკლესიას. იყავნ! იყავნ!

### საქვეთ კითხეების განშარტება.

**მდვ. ალ. გოცირიძეს.** თქვენ გვეკიონებით:

- 1) მოვალეა, თუ არა, მღვდელი, რომელმაც თქვენი სარწმუნოს ბავში მონათლა და თვის მეტრიკაში ჩასწერა, წარმოგიდგინოს მეტრიკის ამოწერილობა?

**პასუხი.** მოვალეა შეგატყობინოსთ წერილობით, რომ ბავში მონათლა და მეტრიკაში ჩასწერა.

2) რამდენი წლის ბავშის ზიარება შეიძლება ეკლესიაში მოუმზადებლად?

**პასუხი.** ეჭვს წლიმდის, თუ ნათელოდებულია, რა თქმა უნდა.

3) სხვისი სამრევლო ქვრივი ან ქალწული ქლის გვირგვინის კურთხევა რამდენი წლის ხემს მრეცლში მყოფობით მეტათნება?

Печатать разрешено. Типография „Братство“, Казаков, ул. № 17.

**პასუხი.** ეს კითხვა განსაზღვრული არაა კანონმდებლობაში. რამდენათ პრაქტიკა გვაჩვენებს, ქვრივი თავისუფალია. ქალწული თქვენ სამრევლოში უნდა აღიზარდოს, და იქვე ზიარობდეს.

**მდვ. ნესტორ გვენცაძეს.** თქვენ გვითხებით ვის ეკუთვნის გვირგვინის კურთხევა იმ ქლის, რომლის მაშა და თეთი ქოლოც ათი წელიწადია თქვენს მრეცლში გამომესახლენ და სცხოვრობდენ.

**პასუხი.** ათი წელიწადი საკმაო დროა რომ ადგილობრივმა მღვდელმა თავისათ მიიჩნიოს გამომსახლებული კომლი, თუ ეს გადმოსახლება ერთ-და იმავე სოფელში არ მომხდარა და თუ გამომსახლებულიც ყოველივე საჭირო მღვდელ — მოქმედებისთვის ადგილობრივ მღვდელს იწვევს, მასთან იტყვის ალსარებას და ეზიარება თავის ოჯახობით. ამ ზინს განმავლობაში სსენებული გასახოვარი ქალიც რამდენჯერმე ეზიარებოდა თქვენთან და იტყოდა აღსარებას, ამიტომ საბურებშიდაც გეყოლებოდათ ჩაწერილი, მაშასადამე, მოძღვარიც თქვენ ყოფილხარ მისი და მისი სულიერი მდგრადრეობაც თქვენ გეცილინებოდათ და ამიტომ ჯვარისწერაც თქვენ უნდა შეკვესრულებიათ. რაიცა შეეხება წლიმდინარებას, თუ ამაში ეჭვი გქონდათ, აფიციალურად უნდა მოგეთხოვათ წინანდელი მოძღვრისათვის, რომელიც ვალდებული იყო სწორი ცნობა მოეცა. რაიცა შეეხება მის ამ შემთხვევაში მოქმედებას, ფულის სიხარბით მოსვლია და ნუ დაემდურებით, რადგან ეს, სამწუხაროდ, პირებილი მიგალითი არ არის ჩენ წერში.

**მდვ. გორგი პირველს.** თქვენ გვეკიონებით, შესაძლებელია, თუ არა, რომ მღვდელმა უანათლიოთ, მოლოდ იაბაზე ოლაპ გადაკიდებულმა სრულიად ჩეკულებრივ პირობებში ბავში მონათლება.

**პასუხი.** მღვდელობის მადლი, რომლის ძილითაც მღვდელი ნათლებს ბავშს არ უ ინაფრიაშია და არ უ კაბაში, მაგრამ მღვდელი ვალდებულია პატივით მოვარის რავზო მსახურებას და შესაფერ პირობებში, შესაფერ ტანისმოსით შესასრულოს ყოველი მღვდელ მოქმედობა და არა მოლოდ ნათლისლება.

რედაქტორი მდვ. ს. გვარდილი  
გამომუშებელი ი. ლევაზა